საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ბ-ნ შალვა პაპუაშვილს

საქართველოს მოქალაქის თამარ ცანავას ([redacted]

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვარ საქართველოს მოქალაქე. ვმუშაობ ქ.თბილისის 178-ე საჯარო სკოლაში მე-12 წელია . სკოლაში მუშაობის პერიოდში გავაჩნე ორი შვილი და ორივეჯერ დეკრეტული შვებულება ამინაზღაურა მხოლოდ სახელმწიფომ (ერთჯერადად 1000 ლარი). კანონში წერია,რომ საჯარო სკოლის მასწავლებლებს დეკრეტულ შვებულებას სკოლის დირექტორი უნაზღაურებს მხოლოდ მისი კეთილი ნების შემთვევაში და სამწუხაროდ ორივეჯერ დირექტორმა მითრხა, რომ სკოლის ბიუჯეტში არ იყო თანხა, რომ აენაზღაურებინა დეკრეტული შვებულება და თან არცერთი დირექტორი არასოდეს არ ანაზღაურებს საქართველოს მასშტაბით ამ დეკრეტულ შვებულებას. მეორე ბავშზე, ამის გამო მიმიწია სამ თვეში დაბრუნება სამსახურში, რადგან შეუძლებელი იყო 1000 ლარად ორი შვილი გამეზარდა და იძლებული გავხდი ჩვილი ბავშვი დამეტოვებინა და სამსახურში გავსულიყავი. მინისტრ ალექსანდრე ჯეჯელავას დროს, ბევრჯერ მქონდა მიმოწერა განათლების სამინისტროსთან და მინისტრიც გვპირდებოდა, რომ დეკრეტული შვებულება გახდებოდა ანაზღაურებადი, მაგრამ დანაპირები ისევ ისე დარჩა, მხოლოდ ვაშლების ბიზნესი ადარდებდა ბატონ მინისტრს. არავინ ფიქრობს განათლების სამინისტროში იმაზე, რომ 60 000 მასწავლებლიდან უკვე შეიძლება 30% მაინც იყოს ახალგაზრდა და აღარ იქნება მალე მასწავლებლობა ე.წ. ''ბებერი პროფესია''. თუ ერის გამრავლება გვინდა, რატომ არ ვფიქრობთ იმაზე, რომ მოგვეცეს საშუალება ის 6 თვე მივიღოთ ჩვენი კუთვნილი ხელფასი და მშვიდად გავზარდოთ ბავშვი, პირველი 6 თვე ხომ ბავშვისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დედის გვერდზე ყოფნა და ძუძუთი კვება. დეკრეტული შვებულების აუნაზღაურებლობა კი ამ პროცესს თავისთავად ხელს უშლის. თვითონ დირექტორი რომ გავიდეს შეუძლია საკუთარ თავს აუნაზღაუროს დეკრეტული შვებულება, მასწავლებელს კი არა, რადგან სკოლის ბიუჯეტიდან რომ გასცეს თანხა, მერე სამინისტროს უნდა აუხსნას თურმე რაში დახარჯა ეს თანხა და

1-170/22
11 01 22 2

მერე სამინისტრო აღარ დაუმატებს ბიუჯეტს, ასე რომ დირექტორებს აიძულებენ არ გასცენ დეკრეტული და მისი თანამშომლის წინაშე ცუდ სიტუაციაში აგდებენ. როცა რეალურად დირექტორი უნდა ზრუნავდეს საკუთარი თანამშრომლის კარგად ყოფნაზე, ვერ ახერხებს ამას, რადგან კანონში ასეთი მუხლი დევს.

ძალიან გთხოვთ, განიხილოთ ეს საკითხი და გაიტანოთ განსახილველად. უკვე ძალიანნ ბევრნი ვართ ახალგაზრდა პედაგოგოები, ვისაც ნამდვილად ადარდებს საკუთარი შვილების მომავალი და იბრძოლებენ იმ უფლების დასაცავად, რაც კანონით ეკუთვნით.

დიდი იმედი მაქვს, რომ ევროპისკენ მიმავალ გზაზე, მაშინ როცა მასწავლებლობა ერთ-ერთი მოწინავე პროფესიაა , აუცილებლად შეიცვლება ეს კანონი მასწავლებლის სასარგებლოდ და ისევ დირექტორების იმედად არ დაგვტოვებთ.

განმცხადებელი : თ. კანავა

თარიღი : 11.01.2022